პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ივნისი, სამშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 134 (15955)

მაღალ მოთხოვნათა დონეზე!

პარტიის სწორი პოლიტიკა, ამ პოლიტიკის მხარდამჭერა ხალხის მიერ, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა ახალ შესაძლებლობებს სახავენ ჩვენი ულიმტესი გმირობისა და ამაგირობისათვის, როლებითაც ახლა მდიდარია ჩვენი სამშობლოს ისტორია.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ერთი მიზანი მუდამ დიდ ენერგიას ბადებს. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც საუკეთესო მიზნისაკენ — „კომუნიზმისაკენ ისწრაფვიან, ყოველდღიურად აძლიერებენ შრომის ტემპს, თავს უყრიან მთელ შემოქმედებითს ძალებს, რომ პარტიის პროგრამა, მისი წინასწარდასახულობანი ნამდვილ რეალობად იქცნენ, წარმატებით გადაწყდეს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული თანამედროვე ეტაპზე ჩვენი წინსვლის ნათელი პროგრამა.

მთელ ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე ფლანგებზე სასახელოდ იღვწიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოახლოებული არჩევნების წინადღეებში სულ უფრო უმატებენ მუშაობის ტემპებს.

ის დიდი აღფრთოვანება და უნთუნიაზმი, რაც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულმა დადგენილებამ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, ჩვენი შრომის, მშენებლობის ყველა უბანზე თავს უყრის ახალ შემოქმედებით ძალებს.

ახლა, როგორც არასდროს, დღის წესრიგში დგება მასებში მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის გადაჭრით გაუმჯობესება, პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის სტილის დახვეწა, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა.

ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, გულახდილობა და პრინციპულობა, ადამიანებისადმი ნდობის გაძლიერება, ამასთან მაღალი მომთხოვნელობა და სისტემატური კონტროლი საქმის ფაქტიურ შესრულებას — აი სტილი, რომელიც ყველგან უნდა დამკვიდრდოს. ძიება, გადასაწყვეტი პრობლემებისადმი ღრმა, მეცნიერული, შემოქმედებითი მიდგომა — სწორედ ეს არის ამჟამად დამახასიათებელი პარტიის თბილისის, ქუთაისის საქალაქო და მთელი რიგი სხვა პარტიული ორგანიზაციებისათვის.

„კომუნისტის“ დღევანდელი ნომრის მეორე და მესამე გვერდები ეძღვნება ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებას ამ ეტაპზე. უახლოეს ხანში გაზეთი თავის მკითხველებს მოუთხრობს სხვა მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებაზეც.

საჭიროა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა დროზე შენიშნონ ყველა დადებითი ტენდენცია, ყოველი ასეთი სასარგებლო გამოცდილება და ფართოდ გაავრცელონ ისინი.

ორგანიზატორული მუშაობა ახალ, მაღალ მოთხოვნათა დონეზე! — ასეთია თვითეული პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი და საღღეისო აქტუალური ამოცანა.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მშრომელთა წერილების განხილვისა და მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს მშრომელთა წერილებზე მუშაობისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. ფართო მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდამ განაპირობა პარტიული ორგანოებში მშრომელთა წერილებისა და მიმართვის რაოდენობის გადიდება.

ამ წერილების შინაარსი მოწმობს, რომ რესპუბლიკის მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხაშინაო და საგარეო პოლიტიკას, დაინტერესებულ ელარიან სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების, მეცხრე ხუთწლეულის დავალებათა წარმატებით შესრულებით. ბევრი წერილი ნაკარნახევია ხაზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზრუნვით. ამ წერილებში მხარდაჭერას უცხადებენ ღონისძიებებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ასამაღლებლად, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტები და რაიკომები, ადგილობრივი საბჭოები, აღმასკომები, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიები ბშრად განიხილავენ მშრომელთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს. მაგრამ მშრომელთა წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობა არ შეესაბამება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 7 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნებს. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ფაქტები, როცა ფორმალურად, ბიუროკრატიულად, უყურადღებოდ ეკიდებიან მშრომელთა კანონიერ თხოვნებსა და საჩივრებს, უსულგულოდ იშორებენ თავიდან და უსაფუძვლოდ გადაუგზავნიან ხოლმე წერილებს სხვა დაწესებულებებს, აკიანურებენ საქმეს. ამის გამო მშრომელები იძულებული ხდებიან გამეორებით მიმართონ ზემდგომ ინსტანციებს. ფორმალური გადაგზავნის ფაქტებს უშვებდნენ პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი, მარნეულის რაიკომი და ზოგიერთი სხვა პარტიული კომიტეტი.

ამის შედეგად 1973 წელს რესპუბლიკის პარტიულ ორგანოებში შემოვიდა ბევრი განმეორებითი წერილი, განცხადებები და საჩივრები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისაღებში მთხოვნელთა მიერ აღძრული საკითხების უმრავლესობა შეაძლებოდა თავისუფლად გადაეწყვეტათ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს, მშრომელთა დეპუტატების სახოფლო საბჭოებს. ამავე მიზეზით სულ უფრო მეტი მთხოვნელი მოდის აფხაზეთისა და აჭარის ახს რესპუბლიკებიდან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან და რუსთავიდან, მარნეულის, თელავის, დმანისის რაიონებიდან.

გახშირდა წერილებისა და საჩივარ-განცხადებების დაწესებულებათა ვადის დარღვევით განხილვის შემთხვევები პარტიის ლენინური, ბაზრის, გურჯაანისა და ქარელის რაიკომებში. დაწესებულთა ვადების დარღვევით ეხშაურებიან მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე გორის, გულრიფშის, წალენჯიხის, მაიაკოვსკის, ქობულეთის, ცხაკაიას და სხვა რაიკომებში.

მთელ რიგ რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებში არღვევენ ხაქმის წარმოების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციების მოთხოვნებს და არ აღრიცხავენ ყველა ხიტყვიერ თხოვნას, მთხოვნელთა მიღების აღრიცხვის დროს არ აღნიშნავენ განხილვის კონკრეტულ შედეგებს, არ ახორციელებენ ქმედით კონტროლს ყველაზე მნიშვნელოვანი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისადმი.

ზოგიერთი საქალაქო კომიტეტი, რაიკომი და საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაცია ანალიზს არ უკეთებს მშრომელთა მიერ გამოთქმულ საჩივრებსა და წინადადებებს, არ ითვალისწინებს მათ შემდგომ მუშაობაში, არ ღღებს ენერგიულ ზომებს მშრომელთა საჩივრებიან წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად. კუოლუტრის, განათლების, მშენებლობის, საავტომობილო ტრანსპორტის, სოციალური უზრუნველყოფის, კავშირგაბმულობის სამინისტროთა ხელმძღვანელები და მათი პარტიული ორგანიზაციები ჯერჯერობით არ აფასებენ მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის მნიშვნელობას, არღვევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებას „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“.

ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობა მოსახლეობის ხაცხოვრებელი პირებით უზრუნველყოფის საქმეში, რაც ჩანს მშრომელთა წერილებიდან და განცხადებებიდან. 1973 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოსული კორესპონდენციის დაახლოებით მეოთხედი საბინაო საკითხებს ეხება.

პარტიის საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა მშრომელთა ხაჩივრების შესწავლისას გამოარკვიეს, რომ საცხოვრებელი ფართობის განაწილების წესი ირღვევოდა ცხინვალის მექანიკურ ქარხანაში, ვაჭრობის სამინისტროში, ცეკავშირში, სრულიად საკავშირო ინსტიტუტ „ორგენერგომაშენის“ თბილისის ფილიალში, საქართველოს მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტსა და სხვა ორგანიზაციებში.

მშრომელთა წერილების ანალიზიდან ჩანს, რომ საცხოვრებელ ფართობს ხშირად არ ანაწილებენ იქ, სადაც ჯეროვან კონტროლს არ უწევენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს პარტიული ორგანიზაციები, მაგალითად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების რაიხაბჭოების აღმასკომებს დღემდე არ შეუსრულებიათ თბილისის საქალაქო ხაბჭოს აღმასკომისა და საქართველოს პროფსაბჭოს 1973 წლის 26 აპრილის დადგენილება აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების წესის შესახებ.

პარტიის ზოგიერთ საოლქო, საქალაქო კომიტეტსა და რაიკომში (აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ხაოლქო კომიტეტები, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტები, მახარაძის, გურჯაანისა და სხვა რაიკომები) ჯეროვნად არ ანალიზებენ ხაჩივრებს იმ ხაკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ხამოქალაქო, შრომითი, ადმინისტრაციული და სახსლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტასთან.

ყვარლის, დმანისის, ქობულეთის, თელავის, ქარელის, გეგეჭკორის, გალისა და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების სუსტი მუშაობით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ რაიონებიდან ზშირად მოდის ხაჩივრები და განცხადებანი მიწის კოდექსისა და მეწყვეტსარგებლობის წესების დარღვევის შესახებ.

მშრომელთა წერილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ ჯეროვნად არ მუშაობენ ვაჭრობის, მოხახლეობის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის პრობლემების გადასაჭრელად. ამის გამო ხულ უფრო მრავლად მოდის ხაჩივრები, რომლებიც ეხება საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ უფრო ქმედითი ბრძოლის ორგანიზაციის, მოსახლეობის მომსახურების ფეროვნისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

მშრომელთა წერილებისა და განცხადებების შესწავლა მოწმობს, რომ რესპუბლიკაში ხუნტად წარმოებს მუშაობა მშრომელთა სამართლებრივი აღზრდისა და საბჭოთა, სამეურნეო აქტივის, ხელმძღვანელი თანამდებობის პირების სამართლებრივი მომზადებისათვის. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოები, საზოგადოება „ცოდნა“, ხასწავლებლები, პრესა, რადიო, ტელევიზია ჯერ კიდევ საკმარისად არ განუმარტავენ მოსახლეობას მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს დაავალა გადაჭრით ამაღლონ მშრომელთა წერილებსა და ხაჩივარ-განცხადებებზე მუშაობის დონე, მიიღონ ზომები წერილების, ხაჩივრებისა და განცხადებების განხილვისადმი, მათ გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად, მაქსიმალურად გამოიყენონ მოქალაქეთა წერილობითს და ხიტყვიერ განცხადებებში მოცემული ინფორმაცია, რათა გამოვლინონ და აღმოფხვრან ხაჩივრების წარმომშობი მიზეზები და პირობები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განმეორებითი მიმართვიების განხილვას. ამ მუშაკთა მიმართ, რომლებმაც უსულგულობა და დაუდევრობა გამოიჩინეს წინა განცხადებებისა და ხაჩივრების განხილვისას, უნდა მივიღოთ უაღრესად მკაცრი ზომები. მოქალაქეთა მიღება უნდა წარმოებდეს დაწესებულ ერთიან დღეს, უნდა მოგვარდეს მოქალაქეთა მიღების, ადრეულ მათ სიტყვიერ განცხადებათა გამო გამოტანილი გადაწყვეტილებების აღრიცხვა.

ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული კომიტეტების მდივნების, ხამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ოპერატიულად ემსახურებოდნენ მშრომელთა ყოველ მიმართვას. რესპუბლიკის მაზობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა გააფართოონ ხამართლებრივი პროპაგანდა, ხანმარტონ მოსახლეობის შრომის, ხაპენსიო, მიწისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობანი.

(ხაქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატობის კანდიდატები

მეცნიერება ალმაევლობის გზით

ჩვენი ინტერვიუ

ჩვენ არ ძალგვიძს წინ ერთი ნაბიჯის გადადგმაც მეცნიერების უახლეს მიღწევათა დაუხმარებლად... მეცნიერების განვითარება — ეს არის აუცილებელი ბაზა გადაწყვეტილებათა მიღებისათვის, ყოველდღიური პრაქტიკისათვის, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ეს მითითება, პარტიის XXIV ყრილობაზე წარმოთქმული, ხაფუძვლად უდევს მთელი ჩვენი ხაბჭოთა მეცნიერების დიდ ხაქმიანობას.

მიმდინარე წელი ჩვენი მეცნიერების ერთგვარი ზეიმის წელია — ხრსებობის ორმოცდაერთ ხუთეულს აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემია. მის ერთ-ერთ მოწინავე და მძლავრ ბირთვს წარმოადგენს ხაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც ოცდაათი წლის მანძილზე სათავეში ედგა დიდი ქართველი მეცნიერი ნიკოლოზ მუსხელიშვილი და რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელობს მსოფლიოში ხახელმოხვეჭილი მეცნიერი ილია ვეკუა.

ხაბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ხაქართველოს მეცნიერებამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-ხაკვლევი ინსტიტუტების ერთობლივი მუშაობით ხაქართველოში სწრაფად განვითარდა მეცნიერება.

ფართო ფრონტით მიმდინარეობს მეცნიერული კვლევა არა მარტო აკადემიის სისტემაში შემავალ 40 სამეცნიერო-ხაკვლევ დაწესებულებაში, სადაც 4.900 მეცნიერი მუშაკი იღვწის, არამედ აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხაქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლთა კათედრებზე და პრობლემურ ლაბორატორიებში, რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში, რომლებშიც 22 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი, მათ შორის მეცნიერებათა 1.100 დოქტორი და 6.500-ზე მეტი კანდიდატია დასაქმებული სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებზე.

ხაქართველოს მეცნიერებს მთელ რიგ დარგებში აქვთ თვალსაჩინო წარმატებები, რომლებიც ცნობილია მთელ მსოფლიოში და შესულია საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების ხაგანძურში. ჩვენი მრავალი მეცნიერის შრომები ფართოდ არის გამოყენებული პრაქტიკაში, ისინი ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და იმ ამოცანათა წარმატებით ბოლოდ ბერას, რომლებიც პარტიის XXIV ყრილობამ დაუსახა საბჭოთა მეცნიერებას.

ყველა ეს წარმატება, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგი, წარმოადგენს იმ ულოვანი მეგობრობის უდიდეს შემოქმედებითს ძალას, რომელიც ათეულობებს საბჭოთა ხაკავშირის ხალხებს.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ახალ პასუხსაგებ ამოცანებს სახავს ხაქართველოს მეცნიერული ორგანიზაციების წინაშე. ამიტომაც, ბუნებრივია, ხაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გადახედნა თავისი გეგმები იმ ამოცანებთან მაქსიმალურად მიახლოების მიზნით, რაც დასახულია ზემოთ აღნიშნულ დადგენილებაში. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები, თავიანთი ძირითადი ამოცანების — მეცნიერებათა ფუნდამენტური მიმართულებების ყოველმხრივი განვითარების ამოცანების — განსორციელებას რომ განაგრძობენ, კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდენ თავიანთ მუშაობას რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების აქტუალური მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ხაქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა, პლენუმმა დასახა ღონისძიებანი ამ დადგენილების განსახორციელებლად. ხაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხამეცნიერო დაწესებულებები ერთ-ერთ ადგილს ეუფლებენ 184 პრობლემაში გაერთიანებული 1.079 თემის მიხედვით. იმავე წელს დამთავრდა 237 თემის დამუშავება, დანარჩენი თემები გარდამავალია. რესპუბლიკის სხვა საწარმო-დაწესებულებებთან ერთად აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს 1973 წლისათვის ნაიხრ ვალდებულებთა შესრულებაში და იბრძვიან უკეთესი მაჩვენებლებისათვის მიმდინარე წელს.

ხაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცხოვრებაში მეტად დიდი მოვლენა იყო ხაქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ გასული წლის დამლევს მიღებული დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს აკადემიის მუშაობის პირობების გაუმჯობესებასა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის ეფექტურობის შემდგომ ამაღლებას, რაც უფრო ქმედითს გახდის აკადემიის დახმარებას ამ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინაშე.

ხაქართველოს მშრომელები კომუნიზმის მშენებელ მთელ ხაბჭოთა ხალხთან ერთად ახალი. შრომითი ენთუზიაზმით და უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით ეგებებიან ჩვენი დიადი სოციალისტური ქვეყნის უმაღლესი ორგანოების არჩევნებს, რაც 16 ივნისს მოხდება. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერული შტაბი — აკადემია და მისი მრავალათასიანი კოლექტივი ახალ-ახალ წარმატებებს მიუძღვნიან ამ დიად მოვლენას.

ხაქართველოს მეცნიერება კვლავაც ივლის ალმავლობის გზით.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: აკადემიკოსი ილია ᲕᲔᲙᲣᲐ.

ᲕᲫ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ფოტო.



ხალხის რჩეულნი

შესვედრა დეპუტატობის კანდიდატებთან

სვეტლოგრადი. (სტავროპოლის მხარე. საკდესი). სტავროპოლის მხარის პეტროვსკის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენელნი სვეტლოგრადის კოლმეურნეობა „ბამარჯვების“ კულტურის სახლში შეხვედნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **თ. დ. კულაკოვს.**

კრება გახსნა პარტიის პეტროვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ა. ტოლსტოიმ.

პეტროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ თავმჯდომარემ ბ. ვ. კულჩნოვსკიმ — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — დამსწრეთ უამბო თ. დ. კულაკოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სიტყვა წარმოთქვა თ. დ. კულაკოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მინსკი. (საკდესი). დღეს ბელორუსიის დედაქალაქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნებს მინსკის პირველი საქალაქო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები მეზვდნენ დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **კ. ტ. მაზუროვს.**

მინსკის საოლქომბილო ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა სსრ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ბ. ს. ვიოლკინმ — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ილაპარაკა კ. ტ. მაზუროვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ კ. ტ. მაზუროვს, რომელმაც წარმოთქვა სიტყვა.

კალინინი. (საკდესი). დღეს აქ ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს კალინინის საარჩევნო ოლქში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ბ. ნ. პონომარიოვს.**

შეკრებილებმა საპატიო პრეზიდიუმში „უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კალინინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგემ ო. ს. პოპოვმა — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა ილაპარაკა ბ. ნ. პონომარიოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

კრებამ ბანსახილა პარტიის ალმა-ათის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ი. ეფიმოვმა. სიტყვა ეძღვნა ი. ა. ბელინინს — ალმა-ათის ლენინის საარჩევნო ოლქის სპოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, კიროვის სახელობის მანქანათაშენებელი ქარხნის ხარატს. მან წაიკითხა დ. ა. კუნაევის წერილი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისადმი. წერილში დეპუტატობის კანდიდატი იუწყება, რომ ავადმყოფობის გამო, სამწუხაროდ, მონაწილეობას ვერ მიიღებს ალმა-ათის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველების — მშრომელთა წარმომადგენლების კრებაში და სულით და გულით უძღვნის მადლობას მშრომელთა კოლექტივებს, ოლქის ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

სკკპ XXIII ყრილობის სახელობის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის სახინსტრუმენტო საამქროს შიგმჭარხავმა ს. ფ. მოლოსტოვმა — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა ილაპარაკა დ. ა. კუნაევის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

კრებაზე გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მისცემენ რა ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ერთიანი ბლოკის კანდიდატებს, ამით საბჭოთა ადამიანები ხმას მისცემენ სახელოვან კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სამშობლოს, კომუნიზმს, მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲐᲚᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲝᲜ ᲝᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲛᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

> თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოთ ყველა კომუნისტის აქტიური მოქალაქეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემოქმედებასა და განხორციელებაში, განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი.
>
> სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

მეცხრე ხუთწლედს—ჩვენი

მთელი ჩვენი ძალ-ღონე და ენერგია მოვახმაროთ საქართველოს კომპარტიის

ხუთწლედის მოწინავენი

კომუნისტი ავტომშენებელი

ქუთაისელი კომუნისტები ხუთწლედისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან. ისინი გამოდიან ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვის ინიციატორებად, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ თანამოსაქმეებს ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ერთ-ერთი მათგანია ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 2 საქსმელო საამქროს მუშა, კომუნისტი გ. ასათიანი. რომელიც ავტომშენებლის პროფესიას პროფტექნიკურ სა სწავლებელში დაეუფლა, უკვე ოცი წელია, რაც ამ საწარმოში მუშაობს და თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ქართველ ავტომშენებელთა მიღწევებში.

ხურათზე: ბ. ასათიანი.

ბ. მალლაფერიძის ფოტო.

კომუნისტი ავტომშენებელი

ქუთაისელი კომუნისტები ხუთწლედისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან. ისინი გამოდიან ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვის ინიციატორებად, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ თანამოსაქმეებს ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ერთ-ერთი მათგანია ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 2 საქსმელო საამქროს მუშა, კომუნისტი გ. ასათიანი. რომელიც ავტომშენებლის პროფესიას პროფტექნიკურ სა სწავლებელში დაეუფლა, უკვე ოცი წელია, რაც ამ საწარმოში მუშაობს და თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ქართველ ავტომშენებელთა მიღწევებში.

ხურათზე: ბ. ასათიანი.

ბ. მალლაფერიძის ფოტო.

დრო, პროგლემები და კომუნისტები

ს. ხაბეიშვილი,
საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა, პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის ცხოვრებაში დაიწყო ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, რომელსაც განსაკუთრებული როლი ენიჭება და იგი ღირსეულ ადგილსაც დაიკავებს საქართველოს კომპარტიის ისტორიაში. ეს გახლავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმი. როგორც ამ პლენუმზე ნავსებით სამართლიანად აღინიშნა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", რომელიც მიღებულია პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით, და, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანითა და მასშტაბურობით განსაზღვრავს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების კარდინალურ მიმართულებებს, მიუთითებს ეკონომიური პოტენციალის ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზებს, ლოგიკური განვითარებაა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ძირითადი დებულებებისა და დასკვნებისა, რომლებშეც განსაკუთრებული ძალითა და სიმწვავით, განსაკუთრებული სიღრმითა და თანმიმდევრობით იყო გამოაშკარავებული სერიოზული ხარვეზები, ნეგატიური ტენდენციები ეკონომიკის, რესპუბლიკის ეკონომიკაში, მრეწველობის ზრდის ტემპში. პროდუქციის რეალიზაციის გეგმის ეფექტიანობის ამაღლებაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, ითანამშრომლენ რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამყვან დარგებში უკანასკნელ წლებში შექმნილი მდგომარეობა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა თავრობამ დასახეს რეალური, კონსტრუქციული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ ჩამორჩენის ეაძლევას. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებულ განვითარებას, შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ამ დადგენილების მასშტაბურობა, საკმარისია მოვიყვანოთ ქუთაისის ეგალითი. წინასწარ გაანგარიშებით ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციისა და გაფართოებაზე, კომუნალური და კულტურულ - საყოფაცხოვრებო ობიექტების განვითარებაზე უახლოეს ხუთ წლებში შეიდგენს რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე — 180-200 მილიონ მანეთს, რაც თითქმის სამჯერ აღემატება არსებულ კაპიტალდაბანდებათა მოცულობას.

მაშასადამე, ხელთა გვაქვს გრანდიოზული პროგრამა, მოქმედების სახელმძღვანელო. ახლა მთავარია პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა მივმართოთ ორგანიზაციულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სრულყოფისათვის, ახალი ამოცანების შესახებ-ად მათი გარდაქმნისათვის, თვითეული კომუნისტის, თვითეული მშრომელის საზრიანობის, მოქმედების, გამრჯის ინიციატივად ორგანიზებისათვის, რომ ფრთები შეკვეთოთ, რეალურად ვაქციოთ, პრაქტიკულად განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი.

მაინც რა არის მთავარი პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობაში? ეს არის ეკონომიკა, ჩვენი სახალხო მეურნეობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1972 წ.) პლენუმის კონკრეტულ მითითებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ-ამისად პარტიის საქალაქო კომიტეტმა ანალიზი გაუკეთა ქალაქის ეკონომიკის მდგომარეობას. აღმოჩნდა მეტად არასახარბიელო სურათი. სამრეწველო წარმოების მოცულობის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მეცხრე ხუთწლედთან, გათვალისწინებულ ციფრებს. 1971-1972 წლებში ქალაქის ყოველი მეოთხე საწარმო ვერ აკმაყოფილებდა სიერთო პროდუქციის წარმოების დავალებას, ასევე ჩამორჩენა იყო პროდუქციის რეალიზაციაშიც. მარტო 1972 წელს ქალაქის მრეწველობამ სახელმწიფოს 6,6 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო. შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალების შესრულება ვერ უზრუნველყო 17 საწარმომ. პროდუქციის დაბალი ხარისხის გამო ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მიღებულმა 2010 რეკლამაციამ ჯარიმის სახით ორი მილიონი მანეთი შთანთქა, რვაასი დასახელებიდან, რომელიც ქალაქის მრეწველობაში მზადდებოდა, „ხარისხის ნიშანი" მიეკუთვნა მხოლოდ ორი სახის პროდუქციას. დაბალი იყო მშენებლობის ხარისხი.

გამოვდიოდით რა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმებისა და პარტიული აქტივის კრებების გადაწყვეტილებებიდან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამრეწველო წარმოების ტემპების ზრდას. მისი ეფექტიანობის ამაღლებას. 1973 წლის დასაწყისიდანვე პარტიის საქალაქო კომიტეტმა განახორციელა მთელი რიგი პრინციპული ღონისძიებანი წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების, სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის განმტკიცების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მისი მოწესრიგე მეთოდების, ფართოდ დანერგვისათვის, ამასთან ერთად, ყოველდღიური ყურადღების ცენტრში დაეყენეთ კადრების საკითხი, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროებისა და ეკონომიის რეფორმა. ეს პატრიოტული ინიციატივა.

ჩვენ მოვაწყეთ წარმოების რეზერვების ეკონომიკურ-ფინანსური, სატრანსპორტო თუ საშენებლო ორგანიზაციათა მუშაობაში. ადგილი აქვს საზოგადოებრივი მართლწესრიგის დამახინჯების ფაქტებს, ზოგან კვლავ ირღვევა პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინა, მთლიანად ვერ გარდაქმნეს მუშაობა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები სათანადო გულისხმიერებით როდი ეკიდებიან მშრომელთა სამართლიან წინადადებებსა და საჩივრებს.

დიახ, ყოველივე ეს პრობლემური საკითხებია და იგი უსწრაფესად უნდა გადაიჭრას, რადგან არსებულ ნაკლოვანებათა მიმართ ოდნავი უყურადღების მოდუნებაც შეიფერებს იმ დიდი ამოცანების პრაქტიკულად გადაჭრას, რაც დასახულია პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილებით „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

დღევანდელ პირობებში, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი შეუპოვარ, უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებს დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებათა ალმოფხვრის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკური საქმიანობის დონის ამაღლებას თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე. კვლავ და კვლავ დღის წესრიგშია კადრებთან მუშაობის, მონდობილი საქმის შესრულებისადმი თვითეულის პასუხისმგებლობის გაძლიერების, მათი შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საკითხები. ვასრულებდით რა პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ბოლო პერიოდის სახელმძღვანელო მითითებებსა და გადაწყვეტილებებს, პირველ რიგში ვაწყდებ გავთავისუფლებულიყავით ამ მუშაობისაგან, რომლებმაც დაკარგეს ხელმძღვანელობის მორალური უფლება, ანდა თავს ვერ არმომევლნენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ყოველივე ამან, ბუნებრივია, გამოიწვია ხელმძღვანელობაში ახალი, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა მუშაკების მოზიდვა. თითქმის მთლიანად გადახალახა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. მნიშვნელოვნად ამაღლდა მასების, პირველ რიგში კომუნისტების, აქტივობა. ყოველივე ამან თავის გამოხატულება ჰპოვა პირველადს პარტორგანიზაციებში გამართულ ხაანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. მოზღვავდა უამრავი ინფორმაცია. ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში პრაქტიკაში დაინერგა ყოველდღიური ოპერატიული თათბირები, რომლებზეც ვისმენდით კომუნისტთა მიერ კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, წინადადებებს და ხურვილებს, იხახებოდა ღონისძიებები ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრისათვის. საქალაქო პრესის ფურცლებზე თითქმის ყოველ ნომერში ქვეყნდებოდა ეს მასალები. ამან ხელი შეუწყო ხაანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებას, გაზარდა პარტიული ორგანიზაციების გავლენა სახალხო მეურნეობის ყოველ უბანზე, პარტიის საქალაქო კომიტეტსაც მიხცა იმის საშუალება, რომ მოკლე დროში ღრმად ჩაწედომოდა ადგილებზე ორგანიზაციების საქმიანობას, გარკვეულიყო ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებში, განსაკუთრებული კონტროლი დაწესებულიყო იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც მუშაობის გაუმჯობესებისათვის პრაქტიკული დახმარება ან ზემოდან ორგანოს ჩარევა სჭირდებოდათ.

პირდაპირ უნდა ითქვას, ამით განუზომლად ამაღლდა კომუნისტთა აქტივობა. კრებებზე გამოცხადდა აღრიცხვაზე მყოფი კომუნისტების 96,1 პროცენტი, 2,1 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა ანგარიშგება-არჩევნებში. კამათში მონაწილეობა მიიღო 2.756 კომუნისტმა, 911-ით მეტმა, ვიდრე წინა წელს. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ კამათის მონაწილე კომუნისტებმა გამოავლინეს მასშტაბურობა და პოლიტიკური სიმახვილე, მზადყოფნა ბოლომდე შეასრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი.

პარტიის ხაზუნდებო მოთხოვნათა შესაბამისად გაუმჯობესდა პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურა.

კომუნისტთა აქტივობას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო და ამაღლა პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ, რომელიც მაღალი მომთხოვნელობის ნიშნით წარიმართა.

შემდგომში რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს კომუნისტების აქტივობა, ინფორმაცია ზემოდან ქვემოთ და პირიქით, ყოველმხრივ უნდა გაუმჯობესდეს კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ჩვენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები დავუყვავთ ხამ ზონად, რომლებიც თავის მხრივ შედგებიან ორგანიზაციათა ხუთ-ხუთი ჯგუფისაგან, თვითეულ ჯგუფში 20-მდე პირველადი პარტიული ორგანიზაცია. როგორც ზონების, ასევე ჯგუფების მიხედვით ორგანიზაციები დაყოფილნი არიან ტერიტორიულ-დარგობრივი ნიშნის მიხედვით. ყოველ ჯგუფში არის ერთი სახაზო ორგანიზაცია, რომელიც ითვლება ორგანიზაციულ-მეთოდური საქმიანობის ცენტრად. თვითეულ ზონაში მიმაგრებულია საქალაქო კომიტეტის ყველა განყოფილების ინსტრუქტორი და მათს მეთოდოლოგიური მუშაობის კოორდინაციას საქალაქო კომიტეტის ხაორგანიზაციო განყოფილება ხელმძღვანელობს. ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გამოვრიცხოთ თვითკმაყოფილების გრძნობის არსებობა პარტიულ ორგანიზაციებში, შევქმნათ მუდმივი ძიების ატმოსფერო, ყოველი მიღწეული წარმატება განვიხილოთ, როგორც განვლილი ეტაპი ორგანიზაციის ცხოვრებაში და სხვა არაფერი.

ბოლო ხანებში ვცდილობთ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფორმები დავნერგოთ პარტიის საქალაქო კომიტეტში. ამ მხრივ გადადგმულია პირველი ნაბიჯები და ვფიქრობთ კიდევ უფრო სრულყოთ იგი.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაები, პარტიული აქტივი, კომუნისტები მუდმივ ახლის ძიებაში არიან. სხვანაირად არც შეიძლება. ცხოვრება წინ მიდის, განუწყვეტლად ვითარდება. ახალი ვითარება კი, ბუნებრივია, მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს მოითხოვს.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ის ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც თანდათან ინერგება საქალაქო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში, ყოველმხრივ სრულყოფილი და უკრიტიკოდ მიხაღები იყოს. ახალ საქმეს, ახალ წამოწყებას გამოცდა ცხოვრებაში, პრაქტიკაში ელის, ალბად მას მოწონებამდე დეგენიც გამოუჩნდებიან. მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრთა ჭიდილში ჭეშმარიტება იბადება, ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვა კი ჩვენი ღვიძლი საქმეა.

გეგმას შესრულება უნდა

— **დიდებული** გეგმებია, გრანდიოზული ამოცანებია, — ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს ჩვენი ქარხნის ახალგაზრდულ კოლექტივში. მართლაც „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში მთავარ ამოცანად მიჩნეულია სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის აპაოლება მოკმედ სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენებისა და ახალი ტექნიკისა და პროგრესულო-ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვის ბაზაზე. მაშასადამე, ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების ღრმა ცოდნა დღევანდელი დღის უძირველესი მოთხოვნაა. თუ არ იცნობ საწარმოო სიმძლავრეებს მაქსიმალურად გამოყენების ხელოვნებას, ღრმად არ უფლები წარმოების ეკონომიკას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კანონებს, არ ზრუნავ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, მაშინ, ბუნებრივია, სამეურნეო ხელმძღვანელობა გაგიჭირდება.

